



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

12 დეკემბერი 2025



N 775/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქ ბათუმში შპს „თალასა ჯგუფი“-ს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „თალასა ჯგუფი“-ს მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილი იქნა კოდექსის II დანართის 10.6 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის (ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „თალასა ჯგუფი“ ქალაქ ბათუმში, კვიპაროსის ქუჩა №9-11-ში, თავისივე საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 05.34.24.974; ფართობი 3076 მ²) განთავსებულ მრავალფუნქციურ საცხოვრებელ კომპლექსში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მართვის მიზნით გეგმავს გამწმენდი ნაგებობის მოწყობას და ექსპლუატაციას. საპროექტო გამწმენდი ნაგებობის განთავსების GPS კოორდინატებია: X-725888 Y-4618377, საიდანაც უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე პირდაპირი მანძილი დაახლოებით 20 მეტრს შეადგენს, ხოლო მრავალფუნქციურ საცხოვრებელ კომპლექსამდე – დაახლოებით 27 მეტრს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო გამწმენდი ნაგებობა წარმოდგენილი იქნება „Biobox Standard 250“-ის მარკის ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარით, რომლის წარმადობა დღე-ღამეში 50 მ³-ს შეადგენს და 250 ადამიანზე იქნება გათვლილი. საპროექტო გამწმენდი დანადგარის შემადგენლობაშია: სეპტიკური კამერა; ანაერობული ბიორეაქტორი; ბიოფილტრი; მეორადი დალექვის კამერა; აერაციის ავზი; ლამის დასალექი კამერა; აერობული და ანაერობული წმენდის კამერა; აერატორი; კომპრესორი; ტუმბო. საპროექტო გამწმენდი დანადგარი საპროექტო ტერიტორიაზე არსებული №02/3 ნაგებობის პლატფორმის ქვეშ (პირველ სართულზე), მიწისზედა გადაწყვეტით, ბეტონით შემოსაზღვრულ სივრცეში მოეწყობა.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო გამწმენდი ნაგებობაში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესი პირველ ეტაპზე ითვალისწინებს ჩამდინარე წყლების ქვიშისა და სხვა უხსნადი მინარევებისგან მექანიკურ წმენდას, ხოლო შემდგომ – ორეტაპიან ბიოლოგიურ (ანაერობულ და აერობულ) წმენდას. საპასპორტო მონაცემებით გაწმენდის შემდგომ ჩამდინარე წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლები იქნება: შეწონილი ნაწილაკები – 60 მგ/ლ; ჟმ – 25 მგ/ლ; ჟქმ – 125 მგ/ლ; საერთო აზოტი – 15 მგ/ლ; საერთო ფოსფორი – 2 მგ/ლ; PH – 6,5-8,5 მგ/ლ. მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსიდან გამოსული სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები დაახლოებით 40 მეტრი სიგრძის და 200-300 მმ დიამეტრის მიწისქვეშა გოფრირებული მილით მიეწოდება საპროექტო გამწმენდი ნაგებობას, საიდანაც გაწმენდის შემდგომ, დაახლოებით 20 მეტრი სიგრძისა და 200 მმ დიამეტრის მიწისქვეშა გოფრირებული მილით ჩაშვებული იქნება ბუნებრივ არხში. წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატებია: X-725887 Y-4618354.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მოწყობა მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებს არ საჭიროებს და მხოლოდ შესაბამისი ტექნოლოგიური ერთეულების ერთმანეთთან დაკავშირებას და გამოყოფილ ადგილებზე დამონტაჟებას გულისხმობს. მოწყობის სამუშაოები მცირე ზომის ექსკავატორის და ამწე-მანიპულატორის გამოყენებით შესრულდება და დაახლოებით 7-8 დღის განმავლობაში გაგრძელდება, რაც სამუშაოების მასშტაბიდან გამომდინარე, გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო გამწმენდი ნაგებობა დახურული ტიპის სადგურს წარმოადგენს და ჩამდინარე წყლების წმენდის ტექნოლოგიური პროცესები დახურულ სისტემაში განხორციელდება. საპროექტო გამწმენდი ნაგებობის გამართულად ოპერირების პირობებში არასასიამოვნო სუნის გავრცელება მოსალოდნელია მხოლოდ ლამის ამოღების დროს, რაც საშუალოდ წელიწადში 1-2 ჯერ განხორციელდება და დაახლოებით 40-60 წუთის განმავლობაში გაგრძელდება. საპროექტო გამწმენდი ნაგებობის სისტემის განტვირთვის სიხშირისა და განტვირთვის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, აღნიშნულ პროცესს უახლოეს მოსახლეზე შემაწუხებელი ეფექტი არ ექნება. საპასპორტო მონაცემებით, გამართულად ოპერირების პირობებში, საპროექტო გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული გაწმენდილი წყალი არის გამჭვირვალე და არასასიამოვნო სუნით არ ხასიათდება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის მნიშვნელოვანი დაბინძურება, მათ შორის, არასასიამოვნო სუნის წარმომქმნელი ნივთიერებებით ჰაერის ხარისხის გაუარესება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მოწყობის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების მოდელირება, რომელიც შესრულებულია უარესი სცენარით და მხედველობაში არ არის მიღებული ფიზიკური ფაქტორები, მათ შორის, ჰიფსომეტრიული სხვაობები და ბარიერული ეფექტი. მიღებული შედეგებით, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მოწყობის ეტაპზე უახლოეს მოსახლესთან მოსალოდნელი ხმაურის დონე 37 დბა-ს შეადგენს. საპროექტო გამწმენდი ნაგებობამდე ჩამდინარე წყლების მისაყვანად და საპროექტო გამწმენდი ნაგებობიდან წყალჩამვების წერტილამდე ჩამდინარე წყლების გასაყვანად განკუთვნილი მილების მოწყობა გაგრძელდება დაახლოებით 1 დღის განმავლობაში და სამუშაოების მასშტაბიდან გამომდინარე ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, საპასპორტო მონაცემებით საპროექტო გამწმენდი ნაგებობა პრაქტიკულად უხმაუროდ მუშაობს, რაც შესაძლებელს ხდის საცხოვრებელი შენობების მახლობლად მის დამონტაჟებასა და ექსპლუატაციას. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია საპროექტო გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების მოდელირება, რომელიც შესრულებულია უარესი სცენარით და დაშვებულია, რომ ხმაურის წყაროები ღია სივრცეშია განლაგებული, ხოლო ფიზიკური ფაქტორები, მათ შორის, ჰიფსომეტრიული სხვაობები და ბარიერული ეფექტი გათვალისწინებული არ არის. მიღებული შედეგებით, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე უახლოეს მოსახლესთან მოსალოდნელი ხმაურის დონე 25 დბა-ს შეადგენს და ხმაურის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მოწყობის ეტაპზე, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მასშტაბის გათვალისწინებით, მოსალოდნელია მცირე რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნა, რომელთა შეგროვება სახიფათოობის/არასახიფათოობის მახასიათებლიდან გამომდინარე განხორციელდება და შემდგომი მართვის მიზნით შესაბამისი ნარჩენის მართვაზე სათანადო ნებართვის მქონე ორგანიზაციას გადაეცემა. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ადგილი ექნება ჭარბი ლამის წარმოქმნას, რომლის სავარაუდო რაოდენობა წელიწადში 1-3 მ³-ს შეადგენს. წარმოქმნილი ლამის ამოტუმბვა და შემდგომი მართვის მიზნით ტერიტორიიდან გატანა სპეციალური ასენიზაციის მანქანით განხორციელდება. ლამის გადაცემა გათვალისწინებულია რეგიონში არსებული დიდი წარმადობის მქონე ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებზე, სადაც ლამის დამუშავება (გაუწყლოება, გაშრობა და ა.შ) ხორციელდება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე შესაძლო ავარიული სიტუაციების დროს ზედაპირული წყლის დაბინძურების პრევენციის მიზნით, წინასაპროექტო ეტაპზე განისაზღვრა მოსალოდნელი ჩამდინარე წყლების მაქსიმალური რაოდენობა (პიკური დატვირთვისთვის). აღსანიშნავია, რომ საპროექტო გამწმენდი ნაგებობა გათვლილია იმაზე მეტი რაოდენობის ჩამდინარე წყლების დამუშავებაზე, ვიდრე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის ტერიტორიაზე პოტენციურად შეიძლება წარმოიქმნას. შესაბამისად, ავარიული სიტუაციის შემთხვევაშიც კი, ჩამდინარე წყლების გარემოში მოხვედრის რისკი პრაქტიკულად გამორიცხულია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მოწყობა ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში არსებული მრავალფუნქციური კომპლექსის ტერიტორიაზეა დაგეგმილი.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის, სპეციფიკის, მასშტაბის და მახასიათებლების გათვალისწინებით, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და II დანართის 10.6 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქალაქ ბათუმში შპს „თალასა ჯგუფი“-ს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს გზშ-ს;**
2. შპს „თალასა ჯგუფი“ ვალდებულია კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „თალასა ჯგუფი“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „თალასა ჯგუფი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/775-21-4-202512121301>

